

შეიძლება სხვა მოთხოვნებსაც ითვალისწინებდეს. აქვე უნდა გვასსოვდეს, რომ კოოპერატივის ადგილსამყოფელის მიხედვით სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაციამდე გადაწყვეტილებას ძალა არ აქვს.

თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება. წარმომადგენლად შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც კოოპერატივის წევრია, მაგრამ არ არის არც გამგეობაში და არც სამეთვალყურეო საბჭოში. წარმომადგენელთა კრება შედგება სულ ცოტა 50 წარმომადგენლისაგან, რომლებიც აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

**კითხვა:** ჰყავს თუ არა კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭო და თუ ეს საგადასმელია, რამდენი წევრით უნდა განისაზღვროს იგი?

**პასუხი:** კოოპერატივის ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება საერთო კრების მიერ დამსწრე ხმების უბრალო უმრავლესობით არჩეული არანაკლებ 3 და არა უმეტეს 15 წევრისაგან,

**რომელთა რაოდენობა და ფუნქციები განისაზღვრება წესდებით.**

კოოპერატივის გამგეობა შედგება არანაკლებ ორი დირექტორისაგან (გამგეობის წევრებისაგან), რომელთაც ირჩევენ 4 სამეურნეო წლის ვადით. წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს.

წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ გადატანილ იქნას რეზერვებში (14.03.2008 წ. №5913).

აქვე განვმარტავთ, რომ აღნიშნული კანონის კერძო ნაწილის მეხუთე თავიდან, რომელიც კოოპერატივის ეძღვნება, 24.06.2005 წ. №1781 კანონით ამოღებულია მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი.

ამით გამოთავრებთ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საზოგადოებებზე ჩვენს მოკლე მიმოხილვას.

ირინე ღლონტი

**საქართველოს საბანკო სისტემა**

საქართველოს საბანკო სისტემა - ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე უქდება საქართველოში მოქმედი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, ის სიახლეები, მიღწევები და პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საბანკო-საფინანსო სფეროში ხდება.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი დალი ჩიკვაძე.

**„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტის თაობაზე**

**პარლამენტი ეროვნული ბანკის შესახებ ახალ კანონპროექტში მუშაობს**

მიმდინარე წლის 25 ივნისს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ წარადგინა ინფორმაცია ეროვნული ბანკის შესახებ ახალი ორგანული კანონის პროექტის თაობაზე. მისი თქმით, ახალი კანონპროექტი გაცილებით უკეთესად პასუხობს როგორც ქვეყანაში, ისე მთელ მსოფლიოში დღეს არსებულ რეალობას, ითვალისწინებს ასევე ეროვნული ბანკის ფუნქციონალური და ფინანსური სექტორის რეგულირების გაძლიერებას. იმავე სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი ინიციატივით გამოვიდა, რომ რაკი დაზღვევის სფერო სახელმწიფოს მხრიდან ნაკლებად რეგულირდება და კომიტეტის წევრების აზრით ეს ფუნქციაც ეროვნულმა ბანკმა უნდა იტვირთოს, ამიტომ ახალ კანონპროექტში სადაზღვევო

კომპანიების რეგულირების საკითხიც უნდა აისახოს. 29 ივნისს საქართველოს პარლამენტის ბიურომ დაადგინა, რომ პარლამენტის კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის და მისგან გამომდინარე კანონპროექტების განხილვა. ამ კანონპროექტებით ცვლილებები შედის შემდეგ კანონებში: „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, „ფასიანი ქაღალდების ბზრის შესახებ“, „დაზღვევის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“, „არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“, „მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდების შესახებ“, „ნორმატიული აქტების შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, „საქართველოს საგადასახადო

კოდექსი“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“. ამ საკითხზე ბიურომ წამყვან კომიტეტად განსაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, ხოლო კომიტეტად, რომლის დასკვნაც სავალდებულოა, – დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.

2 ივლისის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები პირველი მოსმენით განიხილა. იმავე დღეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განსახილველად პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსმა გოგა გუგავამ წარადგინა. სამწუხაროდ, იმ მომენტისთვის სხდომას ორიოდე დეპუტატი ესწრებოდა და საკითხის უღრესად დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, არც ერთი კითხვა არ დასმულა.

13 ივლისის პარლამენტის ბიურომ მეორე მოსმენით განიხილა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტი და ამ საკითხზე მომხსენებელი განხლდათ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურთაზ ზოდელავა. თავად ეროვნული ბანკის დასკვნა კანონპროექტის შესახებ პარლამენტში 29 ივლისისთვის ჯერ არ იყო შესული; დოკუმენტი ჯერ არც პლენარულ სხდომაზე გასულა პირველი მოსმენით განსახილველად, ამიტომ კომიტეტებში მასი პუნქტობრივი განხილვაც არ დაწყებულა.

### 306 შვიდშაპა კანონპროექტი

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტის ავტორად ოფიციალურად დასახელებულია პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. ამ კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტის ინიცირებისას გიორგი ქადაგიძემ განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი ეროვნული ბანკისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა. კულუარებში კი მის ავტორად ზურაბ ადგიშვილის უწყებას ასახელებენ.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა ამ მთარულ ხმებს არ იზიარებს, თუმცა არც იმის სჯერა, რომ კანონპროექტი მართლაც კომიტეტმა შეიმუშავა. „*ნუ დავიჯერებთ ამ ზღაპრებს! ეს არის დაწერილი პირველ რიგში ეროვნულ ბანკში და ინიცირებული კომიტეტის მიერ. მე ამას სხვანაირად ვერ ავხსნი, ვინაიდან მთელ პარლამენტსა და საერთოდ ამ კომიტეტში არ ვიცნობ ისეთ პირებს, ვინც ეროვნული ბანკის საკითხებში ერკვეოდეს. უკაცრავად, მაგრამ ყველა ამ საკითხში ჩემი თავი არ მიმაჩნია სპეციალისტად და იქ კონკრეტულად ეროვნული ბანკი კი არა, ეკონომიკა რომ იცოდეს, ისეთი ხალხიც კი სანთლით საძებარია*“, - აცხადებს პაპავა. სხვათა შორის, იგი ნონსენსად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ ინიცირებული

კანონპროექტი დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში საფინანსო-საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა წარადგინა. ამასთან დაკავშირებით ის იხსენებს, რომ შარშან, როდესაც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში იხილებოდა მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებები სებ-ის კანონში, ეს კანონპროექტი მთავრობის საპარლამენტო მდივანს ხუროშვილს გამოჰქონდა (ფინანსთა მინისტრი იქ არ იყო, სებ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი კომენტარებს აკეთებდა). ხუროშვილი იურისტია, საკმაოდ გონებაგამჭრიახი და ენაწყლიანი, ყველაფერზე მზადაა გიპასუხოს. ასე იყო მაშინ, როდესაც პარლამენტშიც უმრავლესობიდან საკმაოდ მოიძებნებოდნენ ფინანსების კარგი მცოდნე და აქტიური დეპუტატები. სხვა თუ არაფერი, იგივე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი იყო. ახლა კომიტეტის თავმჯდომარესაც კი არ ანდეს და კანონპროექტი საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენელმა წარადგინა, თან ცარიელ დარბაზში და არც ერთი კითხვა არ დასმულა!

პაპავას ლოგიკურად მიაჩნია, რომ კანონი ეროვნული ბანკის შესახებ შეიმუშავოს, პირველ რიგში, თვითონ ეროვნულმა ბანკმა, რომელიც პროფესიული ორგანოა. კონსტიტუციურად არის ჩადებული, რომ ეს არ არის პოლიტიკური ორგანო. სწორედ ამიტომ სებ-ის საბჭოს წევრები, პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი 7 წლის ვადით არიან ამ თანამდებობებზე და 7 წლის განმავლობაში ხელუხლებელნი არიან, თუ მათ თვითონ არ დაწერეს განცხადება, ან რაღაც სერიოზული გადაცდენა არ ექნებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათზე პოლიტიკური კონიუნქტურა არ მოქმედებს და თუ სებ-ი პროფესიული ორგანოა, რა თქმა უნდა, ჯობია პროფესიულმა ორგანომ დაწეროს თავის შესახებ კანონი.

ეს კანონპროექტი პაპავაზე ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ დაწერილია სებ-ის მიერ და განმარტავს, თუ რატომ. ამასთან, იგი ხაზგასმით აღნიშნავს პირადად მისთვის რამდენიმე დადებით თუ უარყოფით მომენტს. კერძოდ, დადებითაა, რომ ამოღებულია ის მუხლი, რომელიც ლადო გურგენიძის ინიციატივით შევიდა 2008 წელს მიღებულ ცვლილებებში სებ-ის შესახებ კანონში, სადაც ეწერა, რომ სებ-ისთვის უნდა დაწესებულიყო საშუალო წლიური ინფლაციის ზედა მაჩვენებელი, რომლის 18 თვის განმავლობაში გადაცდომის შეთხვევაში დადგებოდა სებ-ის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი. ჯერ ერთი, ეს იყო ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობაში ჩარევა და თანაც, ინფლაცია არ არის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთადერთი მაჩვენებელი. მის გარდა სხვა მაჩვენებელიც ბევრია. ინფლაცია არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი, მაგრამ არა გადამწყვეტი მაჩვენებელი. აღნიშნული ჩანაწერის ამოღება არის პრინციპული პოზიტიური ცვლილება ახალ კანონპროექტში. ამიტომ ამ მუხლის ამოღებას პაპავა მიესალმება და ფიქრობს, რომ ეს სწორედ ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. იგი ახალგაზრდა კაცია, საკმაოდ ენერგიული და ამბიციური (პროფესორი პაპავა

იცნობს თავისი ყოფილი სტუდენტის პირად თვისებებს), თან საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს (რაც თავისთავად არც ცუდია და არც კარგი), ამიტომ როცა ის სებ-ის პრეზიდენტი გახდა, მან შეძლო ეროვნული ბანკის გაძლიერების თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები გადაეღა.

სწორედ ქადაგიძის ამბიციურობამ და პოლიტიკურმა ზურგმა შექმნა იმის საფუძველი, რომ საფინანსო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც შარშან სებ-იდან ცალკე გაიტანეს, ახლა სებ-ში დააბრუნეს, რასაც პაპავა ასევე მიესალმება. მაგრამ ლაღო პაპავას გული დასწყვიტა იმან, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში ქადაგიძე და მისი გუნდი თანამიმდევრული ვერ აღმოჩნდა. ანუ ფინანსური ზედამხედველობის ფუნქცია კი შემოაქვთ სებ-ში, მაგრამ ფინანსური ზედამხედველობა სებ-ის სტრუქტურული ერთეული თუ ხდება, გაუგებარია, მას რა საბჭო უნდა ჰქონდეს?! პაპავას მტკიცებით, ეს არის ნონსენსი, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანო არის ეროვნული ბანკის საბჭო და კონსტიტუციაშია გაწერილი, თუ როგორ ხდება მისი შერჩევა-დამტკიცება. ამის შემდეგ უბრალოდ გაუგებარია, თვითონ სებ-ის შემადგენლობაში რაღაც სტრუქტურული ერთეულის არსებობა, რომელსაც ეყოლება ცალკე საბჭო, რომელსაც თურმე ასევე მაღალ დონეზე ნიშნავს პრეზიდენტი და თანაც სებ-ის პრეზიდენტი ამ საბჭოს ერთ-ერთი რიგითი წევრია! ანუ ფორმალურად ზედამხედველობის სამსახური შევიდა სებ-ის შემადგენლობაში, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი იცვლება. უბრალოდ, მას არ ეყოლება თავისი ცალკე ბუღალტერი, არ ექნება თავისი ცალკე საბანკო ანგარიში (რადგან სტრუქტურულად ის უკვე სებ-ის შემადგენლობაშია), მაგრამ მართვის თვალსაზრისით ის დამოუკიდებელი ორგანოა.

პაპავა არც იმ მოსაზრებას იზიარებს, რომ ახალი კანონპროექტით ზედამხედველობამ სებ-ი, ფაქტობრივად, ნაწილობრივ დაიქვემდებარა. მისი აზრით, როცა ზედამხედველობა იყო დამოუკიდებელი დღეს მოქმედი კანონის თვალსაზრისით, იქაც პრაქტიკულად სებ-ი მის დაქვემდებარებაში იყო; თუმცა ფორმალურად სებ-ი იყო დამოუკიდებელი, ფორმალურად ზედამხედველობა სებ-ში შედიოდა, მაგრამ ზედამხედველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მერე შესასრულებელი იყო სებ-ისთვის. დავუშვათ, თუ დადგებოდა რომელიმე ბანკის გაკოტრების და სანაციის საკითხები და იქ გარკვეული ფინანსური რესურსების გამოყოფა იქნებოდა საჭირო, ზედამხედველობის სამსახური პრაქტიკულად ავალბდა სებ-ს (ანუ მის ზემდგომს!), რომ შემდეგ მას მიეღო გარკვეული გადაწყვეტილება და ახლაც იგივეა; ანუ დეპარტამენტი ავალბებს მთლიანად სებ-ს, სებ-ის პრეზიდენტი არის ამ შემადგენელი სამსახურის საბჭოს წევრი და ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ზედამხედველობას კურირებს, პრაქტიკულად ამ საბჭოს დაქვემდებარებაშია. ეს წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის იმ ჩანაწერთან, რომლითაც სებ-ის უმაღლესი ორგანო არის სებ-ის საბჭო და სებ-ის საბჭოს წევრები არიან პრეზიდენტიც და ვიცე-

პრეზიდენტიც. ანუ ეს ორგანო სებ-ში უმაღლესი უნდა იყოს, ფაქტობრივად კი გამოდის, რომ რაღაც საკითხებში ზედამხედველობის საბჭო უფრო მაღალია. გაუგებარია ასევე, სებ-ის სტრუქტურულ ერთეულს რატომ უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი საბჭო, რომლის წევრებიც ასევე უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე ინიშნებიან. პაპავასთვის ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი.

ამ კანონპროექტით ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას მონეტარული კომიტეტი შეიმუშავებს და ახორციელებს, მასთან სებ-ის უმაღლეს ორგანოს – ეროვნული ბანკის საბჭოს არანაირი კავშირი არა აქვს. ლაღო პაპავას აზრით, ჯერ ერთი, უმთავრესი არის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და თუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დოკუმენტი არ არის უშუალოდ დაკავშირებული სებ-ის საბჭოსთან, მაშინ სებ-ის საბჭოს სტატუსი გაუგებარია. მეორეც, თუკი სებ-ში არსებობს ცალკე შექმნილი დამოუკიდებელი საბჭო, მაშინ სებ-ის საბჭოს სტატუსი კიდევ უფრო გაუგებარია. ეს, რაც გააკეთა გურგენიძემ, ახალი კანონპროექტითაც დატოვებულია. რატომ, იცით? საბჭოსთან მუშაობა უფრო რთულია, ვიდრე სებ-ის აპარატის თანამშრომლებთან. მოგეხსენებათ, აპარატის თანამშრომელი უშუალოდ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. საბჭოს წევრები კი დამოუკიდებლები არიან, თითოეულ მათგანს პარლამენტის მიერ ცალკე აქვს კენჭი ნაყარი და ცალკე არის არჩეული ამ საბჭოს წევრად. ასე რომ, სებ-ის ხელმძღვანელობას მათზე ზემოქმედების ნაკლები მექანიზმები აქვს. ამიტომ ეს აწყობდა გურგენიძეს, რომელიც თავის თავზე ან თავის გუნდზე იზომავდა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის სავარძელს; ეს აწყობს დღევანდელ ხელმძღვანელსაც, ქადაგიძესაც და აწყობს ყველას, ვინც არ უნდა მოვიდეს, თუ ის არ არის ამ დარგის პატრიოტი. რაში ჭირდება საბჭოსთან ურთიერთობა?! არ ურჩევნია თავის აპარატთან ურთიერთობა?! ქადაგიძე იმ დონის პატრიოტი რომ იყოს, როგორიც ამ დარგს ჭირდება, ამას აუცილებლად გამოასწორებდა, იმიტომ რომ ეს ყველაფერი, რაზეც ვიმსჯელებთ, ამოვარდნილია კონსტიტუციური ჩარჩოდანაც, ლოგიკიდანაც და თეორიიდანაც; აქედან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი ამას მაინც აკეთებს, მაშინ ის არ არის დარგის პატრიოტი, ის საკუთარ თავზე ზრუნავს, – დაასკვნის ლაღო პაპავა.

### იყო თუ არა შეცდომა შარშანდელი საკანონმდებლო ცვლილება

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონპროექტის განმარტებით ბარათზე, რომელიც, მისი აზრით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და შეურაცხმყოფელია მოაზროვნე ადამიანისათვის და მით უმეტეს, ქვეყნის პარლამენტარებისათვის.

საფუძველს მოკლებულია განცხადება, თითქოს ბოლო პერიოდში მსოფლიოში ცენტრალური ბანკებისათვის საბანკო დაწესებულებათა ზედამხედველობის ფუნქციის

ჩამორთმევისა და ე.წ. „საფინანსო სექტორის“ ერთიანი ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს. არც თეორიასა და არც პრაქტიკაში, ჩვენს გარდა, არავის შემოუღია ასეთი შინაარსის ტერმინი „საფინანსო (თუ ფინანსური) სექტორი“, რომელშიც გაერთიანებდნენ ბანკებს, საკრედიტო დაწესებულებებს, სადაზღვევო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებს. საინტერესოა, რომელ სექტორსა თუ სექციაში გაერთიანებთ ფინანსთა სამინისტროს, საგადასახადოსა და საბაჟო ორგანოებს, სხვა საფინანსო თუ აუდიტორულ ორგანიზაციებს? – კითხულობს ჯავახიშვილი. მან ყურადღება მიაქცია, რომ ზოგან წერია „საფინანსო“ და ზოგან „ფინანსური“, არადა, მისი თქმით, ეს ორი სხვადასხვა ტერმინია, ვინაიდან ფინანსური სექტორი ბიუჯეტსაც გულისხმობს. ლაღო პაპავა ჯავახიშვილის შენიშვნას ეთანხმება, მაგრამ მისი აზრით, დოკუმენტის ავტორებს უფრო ტექნიკური შეცდომა გაეპარათ და ეს ბიუჯეტის საკითხებს არ უნდა გულისხმობდეს.

მეორე მხრივ, 2008 წლის 14 მარტისათვის (როდესაც აღნიშნული ცვლილება მიიღეს) მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ნიშნები უკვე თვალნათელი იყო და თუ სწორედ კრიზისმა წარმოაჩინა გაცილებით მეტი დამაჯერებლობით ფინანსური სექტორის მარეგულირებლის ცენტრალურ ბანკთან ერთად არსებობის არგუმენტი. რატომ ჩამოვართვით ამ უკანასკნელს შარშან საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია? – მორიგ კითხვას სვამს ჯავახიშვილი და განაგრძობს:

„საინტერესოა ეროვნული ბანკის მხრიდან მონეტარულ პოლიტიკაზე მეტი კონცენტრაციის არგუმენტი – თუ ცენტრალურ ბანკს ჩამოვართმევდით საბანკო ზედამხედველობის ფუნქციას, ამით გავზრდიდით მის კონცენტრაციას მონეტარულ პოლიტიკაზე. ახლა ამ უკანასკნელის დატვირთვა მთელი ე.წ. საფინანსო სექტორის ზედამხედველობით რა მიზანს ემსახურება და რა შედეგს მოგვიტანს?“

კიდევ ერთი არგუმენტი ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქციის გამოყოფაა. თუმცა, ეს უკანასკნელი ნამდვილად არახალია და ჯერ კიდევ უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წელს მიღებულ კანონში ფიგურირებდა, მით უმეტეს ჰქონდა ეს ფუნქცია საქართველოს ეროვნულ ბანკს 2008 წლის 14 მარტამდე მოქმედ რედაქციაში და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ცენტრალური ბანკი მხოლოდ კომერციული ბანკების მიმართ შეიძლება გამოვიდეს ბოლო ინსტანციის კრედიტორად და არა სადაზღვევო, თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებთან.

ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად კანონპროექტის ინიციატორს მოჰყავს ცენტრალურ ბანკსა და საფინანსო სექტორის ზედამხედველს შორის ძლიერი კოორდინაციის აუცილებლობა. თუმცა, იქვე მიუთითებს, რომ კოორდინაცია მანამდეც სათანადო დონეზე ყოფილა. მაშ ახლა რისკენ ვისწრაფვით? არასათანადო დონემდე?

მეტად საინტერესოა მსჯელობა დამოუკიდებლობის შესახებ – თურმე კანონმდებლობით აბსოლუტურად

დამოუკიდებელი ორგანო ეროვნული ბანკის დაქვემდებარებაში უფრო დამოუკიდებლად იგრძნობს თავს – ვშიშობ ამ შემოთავაზებამ კიდევ უფრო არ შეამციროს თავად ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა!

აქვე, თურმე საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საქმიანობაში მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი ყოფილა კანონმდებლობით გათვალისწინებული მისი არაადეკვატური უფლებამოსილებანი, თუმცა ამ პრობლემას, როგორც წესი, კანონმდებლები უფრო მარტივად წყვეტენ – თავად ამ ორგანოს უფლებამოსილებებს ადეკვატურადვე უზრდიან.

და ბოლოს, კანონპროექტის ინიციატორი უშედეგოდ ცდილობს გაამართლოს როგორც 2008 წლის 14 მარტის, ასევე წინამდებარე ცვლილებების აუცილებლობა. უდავოა, რომ თავად შარშანდელი საკანონმდებლო ცვლილება შეცდომა იყო. უფრო მეტიც, ფინანსური ზედამხედველობის სამსახურმა მსზე დაკისრებულ ამოცანებს თავი ვერ გაართვა და ქვეყნის საბანკო სისტემა მწვავე კრიზისში შეიყვანა. მით უფრო აბსურდულია, რომ დღეს უკვე ბატონი ქდავაცი ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ზედამხედველობის საბჭოს მთელი პერსონალური შემადგენლობა კანონის ძალით მოჰყავს თავის ახალ ასპარეზზე“.

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ თოქმაზიშვილის განმარტებით, ნებისმიერი კანონის ქმედუნარიანობა დაკავშირებულია იმ გარემოსა და პირობებთან, სადაც მას მოქმედება უნდება. შესაძლოა კანონი კარგად დაწერილი იყოს, მაგრამ პირობები არ იყოს იმისათვის, რომ ეს კანონი ამოქმედდეს ან სრულყოფილად იმუშაოს. ზოგჯერ ცუდად დაწერილი კანონი უფრო უკეთესად მუშაობს, ვიდრე კარგად დაწერილი, რადგან ის ცუდად დაწერილი კანონის მოთხოვნები პასუხობს ზუსტად იმ გარემოს, რომელიც მან უნდა არეგულიროს.

კონკრეტულად „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონთან დაკავშირებით კი თოქმაზიშვილი აცხადებს, რომ დღეს სიტუაცია საკმაოდ წინააღმდეგობრივია, რადგან 2008 წლის 14 მარტის შემდეგ, ანუ რაც ეს კანონი მიიღეს, საქართველოს ეკონომიკური ვითარება სწრაფად შეიცვალა. კანონი ძირითადად აგებული იყო ერთ მთავარ მოტივაციაზე, რომ იმ დროისათვის ქვეყნის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ინფლაცია და სწორედ ამიტომ ეროვნულ ბანკს მიეცა საშუალება, კონცენტრირებული ყოფილიყო ინფლაციის შემცირებაზე. იმ დროს შეუძლებელი იყო იმის გათვლა, თუ რა მოხდებოდა აგვისტოში. არსებობდა მოლოდინი, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი საქართველოს ეკონომიკას დაახარალებდა, თუმცა იმის ბერკეტებიც არსებობდა, რომ ეს გავლენა გარკვეულწილად განეიტრალებულიყო. მაგრამ აგვისტოს მოვლენების შემდგომ ვითარება შეიცვალა. ომმა ე.წ. „აქსელერატორის“ როლი ითამაშა ეკონომიკის დაცემასა და საინვესტიციო პოზიციების გაუარესებაში. მკვეთრად შემცირდა საქართველოში შემომავალი ფულადი ნაკადები. ეს პროცესი რომ თანდათანობით, მდორედ, ევოლუციურად წარმართულიყო, მაშინ მას არ ექნებოდა ისეთი ღრმა ხასიათი, როგორიც დღეს აქვს. იგი განეიტრალებოდა,

რადგან დროშიც გაიჭიმებოდა და შესაძლოა ეკონომიკას მსუბუქად დასტყობოდა. მაგრამ დღეს უკვე სრულიად სხვა ვითარებაში აღმოვჩნდით. საომარი კონფლიქტისა და ფინანსური კრიზისის შედეგად ეკონომიკა მკვეთრად დაეცა, შესაბამისად ეკონომიკური აქტივობაც შემცირდა, რასაც მოყვა ბანკების, როგორც ფინანსური შუამავლის როლის შესუსტება ეკონომიკაში. დაახლოებით 60%-ს აღწევდა მთლიან შიდა პროდუქტში ბანკების, როგორც შუამავლის როლი. დღეს უკვე 50%-ზე ნაკლებია. ანუ საბანკო სექტორის აქტიური ზემოქმედება ეკონომიკის განვითარებაზე საგრძნობლად შემცირდა.

ამის პარალელურად, მთელმა რიგმა (მათ შორის საგარეო) ფაქტორებმა ინფლაციაც შეამცირეს და უკვე მთავარ ეკონომიკურ ამოცანად დადგა იმ საფინანსო ინსტიტუტების რეგულირება, რომლებიც ქვეყნის განვითარების გენერატორები არიან. ეს ძირითადად ბანკებს ეხება. პროფესორი თოქმაზიშვილი შეგვახსენებს, რომ კომერციული ბანკები ფულადი რესურსების ეკონომიკაში გადანაწილებას ახდენენ და ამგვარად ხელს უწყობენ ეკონომიკური აქტივობის განვითარებას. იმის გამო, რომ შეიცვალა გარემო, შეიცვალა დამოკიდებულება და პრიორიტეტები, უკვე ზედამხედველობის სამსახური თავის ფუნქციებს სრულყოფილად ვერ შეასრულებს, თუ იგი ეროვნულ ბანკთან ორგანულად არ არის დაკავშირებული. მაშინაც, როდესაც ეს ორი სტრუქტურა ერთმანეთისაგან გაყოფილი იყო, მათ ერთმანეთის გარეშე არ შეეძლოთ მუშაობა, რადგან როცა კომერციულ ბანკს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის დახმარება სჭირდებოდა, ზედამხედველობას უხდებოდა მტკიცება ეროვნული ბანკის წინაშე, თუ რატომ არის ეს საჭირო და როგორ უნდა განხორციელდეს. დღევანდელობამ გვიჩვენა, რომ მათი ერთად ყოფნა მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს ურთიერთობა არა როგორც ორი განსხვავებული, ერთმანეთისაგან იზოლირებული სტრუქტურისა, არამედ როგორც ერთიანი ორგანული მთელისა, სადაც ეროვნული ბანკი არა მხოლოდ ზედამხედველობას უწევს, არამედ პასუხისმგებლობასაც იღებს კომერციული ბანკების საქმიანობაზე. მანამდე ზედამხედველობა ეროვნული ბანკისაგან დამოუკიდებელი იყო და პასუხისმგებლობას ორი ინსტიტუტი ინაწილებდა: ერთი თავისი ზედამხედველობით და მეორე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკები კრიზისულ ვითარებაში ვარდებოდნენ.

**სდგება კი ერთიანი სტრუქტურა პროვინული ბანკი ზედამხედველობის ჩათვლით?**

მიხეილ თოქმაზიშვილის განმარტებით, მსოფლიოში ორი მოდელი არსებობს, როდესაც ეროვნული ბანკის ფუნქციაა ზედამხედველობაც და მონეტარული პოლიტიკაც. ერთი მოდელის თანახმად, საბანკო ზედამხედველობაც და მონეტარული პოლიტიკაც ინსტიტუციურად ერთი საბჭოს, ანუ ცენტრალური ბანკის საბჭოს პრეროგატივაა.

მეორე მოდელის თანახმად, კი ეს ორი ფუნქცია ერთმანეთისაგან არის გაყოფილი და სხვადასხვა საბჭოში

განაწილებული. ამ უკანასკნელს თავისი უპირატესობა აქვს. უპირველეს ყოვლისა, უპირატესობა ის არის, რომ აქ საქმე გვაქვს ორი განსხვავებული ხასიათის საქმიანობასთან. ერთი გახლავთ ნორმატიული აქტებით, ყოველდღიური დაკვირვებებით კომერციული ბანკების საქმიანობის შესწავლა-ანალიზი, ხოლო მეორე – მაკროეკონომიკური ანალიზი. ცხადია, ამ ფუნქციებს პირველი მოდელის ცენტრალური ბანკიც ახორციელებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ პირველი მოდელის შემთხვევაში საბჭოს წევრი კარგად უნდა ერკვეოდეს როგორც საბანკო ზედამხედველობაში, ასევე მაკროეკონომიკურ რეგულირებაში. ეს კი საკმაოდ დიდი დატვირთვაა საბჭოზე, მის თითოეულ წევრზე. როდესაც ეს ორი ფუნქცია სხვადასხვა საბჭოში (დაგუშვით ეროვნული ბანკის საბჭოსა და ზედამხედველობის საბჭოში) არის განაწილებული, მაშინ უკვე თითოეულ საბჭოში ამ სფეროების პროფესიონალები არიან და ამიტომ მათთვის უფრო ადვილია თავ-თავიანთ სფეროში მონაწილეობაც და პასუხისმგებლობის აღებაც. თუმცა ამ მოდელის მოქმედებას აქვს თავისებურებაც, რაც ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ ეროვნული ბანკის საბჭოსთან ერთად საფინანსო ზედამხედველობის საბჭოს საქმიანობა მოითხოვს კოორდინაციას და საკმაოდ კარგ გააზრებულ და შეთანხმებულ მოქმედებას იმისათვის, რომ არ წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი და მაკროეკონომიკური და საბანკო რეგულირება არ აღმოჩნდეს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში.

მაგრამ მეორე მოდელის შემთხვევაში რომელია ეროვნული ბანკის უმაღლესი მმართველი ორგანო? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის განაწილებული არა ფუნქციები, არამედ ადამიანები და როგორ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული მონეტარული საბჭო (ანუ ეროვნული ბანკის საბჭო) და ზედამხედველობის საბჭო. ამ კანონპროექტით სებ-ის პრეზიდენტი ორივე საბჭოშია წარმოდგენილი. ის ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარეა და ზედამხედველობის საბჭოს წევრი (ისეთი მოდელიც არსებობს, რომ ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი ორივე საბჭოს თავმჯდომარეა), ანუ ის არის ხიდი ამ ორ საბჭოს შორის. ამიტომ, თოქმაზიშვილის მტკიცებით, ინფორმაციების გაცვლაც უფრო მარტივად ხდება და შესაბამისად, საკითხის დაყენება იქნება თუ სისტემატური კონტროლი, ეროვნული ბანკისათვის გაცილებით უფრო ადვილია და მისაღები. როცა ზედამხედველობა ცალკე იყო, ეს ხიდი მაშინაც კი არსებობდა, მაგრამ თვითონ სამსახური ზედამხედველობისა ეროვნულ ბანკში არ შედიოდა და მას ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არ ხელმძღვანელობდა. ახლა ხელმძღვანელობს, სებ-ის პრეზიდენტთან არის დაკავშირებული მთელი მენეჯმენტი. ზედამხედველობის საბჭო ეროვნული ბანკის ცალკეული დეპარტამენტის საქმიანობაზე ყოველდღიურ ზედამხედველობას და მენეჯმენტს არ ახორციელებს, ის მხოლოდ ღებულობს გადაწყვეტილებას, რომლის განხორციელებაც ასევე სებ-ის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პრეროგატივაა. შესაბამისად, ყველაფერი გადაიჯაჭვება ეროვნული ბანკის ადმინისტრაციაში: როგორც საბანკო ზედამხედველობა, ასევე საბჭოს საქმიანობაც. მენეჯმენტი არის ერთიანი უკვე, მაგრამ ეს ორი საბჭო

(ერთი ეროვნული ბანკის საბჭო და მეორე – ზედამხედველობის საბჭო) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ღებულობენ გადაწყვეტილებებს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უნდა იყოს თუ არა შეთანხმებული ეროვნული ბანკის საბჭოსთან? ეს დამოკიდებულია ეროვნული ბანკის საბჭოს ურთიერთობაზე მონეტარულ კომიტეტთან, რომელიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეიმუშავებს. თოქმაზიშვილის ინფორმაციით, იმ ქვეყნებში, რომელთა ცენტრალური ბანკების საქმიანობასაც იგი იცნობს, ცენტრალური ბანკის საბჭოს წევრი ამასთან ერთად მონეტარული კომიტეტის წევრიც არის. ჩვენთან არც მოქმედი კანონით და არც ახალი კანონპროექტით ასე არაა, არადა, თუკი იქნებოდა, მონეტარულ კომიტეტსა და საბჭოს შორის ურთიერთობას ძალიან გაამარტივებდა. მართალია, დღეს მათ შორის არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს, რადგან მონეტარული კომიტეტი სწორი მიმართულებით მიდის და სწორედ იმას აკეთებს, რაც აუცილებელია ინფლაციის რეგულირებისათვის. მაგრამ სამომავლოდაც რომ საერთოდ გამოირიცხოს, უმჯობესი იქნებოდა მონეტარულ კომიტეტში საბჭოს წევრებიც იყვნენ გაერთიანებული.

და მაინც, ცენტრალური ბანკის მოწყობის რომელი მოდელია უფრო უკეთესი? თოქმაზიშვილი აცხადებს, რომ თუკი ქვეყანაში იქნებოდა ორი თანაბარი პრობლემა (როგორც ინფლაციის, ასევე ბანკების საქმიანობის), ანუ თუკი ქვეყანაში ერთდროულად იარსებებდა ორი პრიორიტეტი, დაფუძვთ, მიზნობრივი ინფლაცია და ბანკების ქმედუნარიანობის გაზრდა, მაშინ შესაძლებელი იყო ამ საბჭოების ერთ ორგანულ სისტემად განხილვა და მართვა, რადგან იგი მოითხოვს მოქნილი პოლიტიკის წარმართვას. მაგრამ დღეს მთავარი პრიორიტეტი არის საბანკო სისტემის გააქტიურება. ამიტომ დღევანდელ სიტუაციაში უკვე ინსტიტუციონალურადაც კი ბანკებზე უფრო მეტი ყურადღების მიქცევა გაცილებით უფრო მომგებიანია, ვიდრე დაფუძვთ თუნდაც ინფლაციაზე, ვინაიდან რეცესიიდან თავის დაღწევის და ქვეყნის გამოყვანის მექანიზმი არის ფასების ავტომატური შემცირება, თუ მას სხვა რამე არ შეუშლის ხელს. მაგრამ ამ სისტემაში ყველაზე მეტად ბანკები არიან მოწადინებული, რომ თავიანთი აქტივობის გაზრდით არაპირდაპირ ხელი შეუწყონ ფასების შემცირებას და გაააქტიურონ კონკურენტუნარიანი საწარმოები, რაც თავისთავად ფასების შემცირებასაც გამოიწვევს. საქმე ის არის, რომ კრიზისიდან გამოსვლას შეძლებენ ის საწარმოები, რომლებიც გარდაქმნიან თავიანთ საქმიანობას, მოახდენენ რეორგანიზაციას, რესტრუქტურირაციას და დაბალი ფასებით დაიწყებენ საქმიანობას. ეს საყოველთაოდ აღიარებულია მთელ მსოფლიოში.

**რამდენად გამართლებულია სკპ-ისთვის სადაზღვევო ბაზრის შემდგომდგომლობის ფუნქციის დაკმატება**

ეროვნული ბანკისათვის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის უფლებამოსილების მინიჭებასთან

დაკავშირებით პარლამენტის აპარატის კვლევითმა ღებარტამენტმა 16 ქვეყნის კანონმდებლობა განიხილა და აღმოჩნდა, რომ მათგან მხოლოდ ჩეხეთსა და სომხეთში ახორციელებენ ეროვნული ბანკები ზედამხედველობას სადაზღვევო კომპანიებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკისათვის სავსებით ახალი ფუნქციის, სადაზღვევო ბაზრის ზედამხედველობის დამატებას თოქმაზიშვილი იმით ხსნის, რომ დღეს უკვე კომერციული ბანკები სადაზღვევო ბაზრებთან არა თუ დაკავშირებული, არამედ ინსტიტუციონალურადაც კი არიან გაერთიანებული და ამიტომ როდესაც ზედამხედველობა ზდება კომერციულ ბანკებზე, ეს მოითხოვს, რომ ზედამხედველობა განხორციელდეს სადაზღვევო სისტემებზეც. ადრე არსებობდა დამოუკიდებელი ორგანო, სადაზღვევო კომპანიების მარეგულირებელი და საზედამხედველო სააგენტო, რომელიც შემდეგ ერთიან საფინანსო მარეგულირებელ სამსახურში გაერთიანდა და დღეს უკვე გადმოსულია ეროვნულ ბანკში; ზედამხედველობა უკვე არის ერთობლივი სტრუქტურა, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულწილად ნაკლებ დანახარჯებთან, უფრო მეტ პასუხისმგებლობასთანაც და ალბათ ამ ინსტიტუტის უფრო ქმედუნარიანობასთანაც. როდესაც საბანკო და სადაზღვევო სისტემების ზედამხედველობა ორი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ხდებოდა, ხშირად მხედველობის გარეშე რჩებოდა ის, რაც მათ (საბანკო და სადაზღვევო სისტემებს) ერთმანეთთან აკავშირებდა. ამ ორგანოთა გაერთიანებით ასეთი სიცარიელე დღეს უკვე შევსებულია.

ლადო პაპავას ეჭვი არ ეპარება, რომ სებ-ი შეძლებს მთელი იმ სფეროს ზედამხედველობას, რასაც ამ კანონპროექტით საფინანსო სექტორი ეწოდა, თუმცა, მაინც, რეფორმის გამო ეროვნული ბანკიდან ბევრი პროფესიონალი გაუშვებს. უნდა ვიმედოვნოთ, სებ-ი გააკეთებს იმას, რომ შესაბამისად სწორ სტრუქტურას შეარჩევს, სწორ ღებარტამენტებს, სამმართველოებს შექმნის და კვალიფიციური ხალხით დააკომპლექტებს. ეს ფუნქციები განხორციელებადია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იქნება სწორი ინსტიტუციური სტრუქტურა და სწორი საკადრო პოლიტიკა, თუ ხალხს არ დანიშნავენ მხოლოდ ხელისუფლებისადმი ერთგულების პრინციპით.

ნოდარ ჯავახიშვილი კი აცხადებს, რომ კანონპროექტი ქვეყნის ცენტრალურ ბანკს ტვირთავს მისთვის ორგანულად მიუღებელი ფუნქციებით, კერძოდ, ეროვნულ ბანკს ეკისრება სადაზღვევო სექტორისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა ზედამხედველობა, რაც აუცილებლად გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს, რადგან ბანკთა ბანკისთვის – ქვეყნის ცენტრალური ბანკისთვის სადაზღვევო ბაზარი სარესურსო წყაროა, ამასთან ის ფასიანი ქაღალდების ბაზრის უშუალო მონაწილეცაა. გარდა აღნიშნულისა, ასეთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ფუნქციების დაკისრება უთუოდ შეამცირებს ეროვნული ბანკის კონცენტრაციას მისი ძირითადი და ორგანული ფუნქციების განხორციელებაზე, მით უმეტეს საბანკო კრიზისის არსებულ ეტაპზე.

**რამდენად მიზანშეწონილია  
სახელმწიფო დაწესებულებაში  
ხელმძღვანელ თანამდებობაზე  
არარეზიდენტი პირის დანიშვნა**

კანონპროექტში ლაღო პაპავასთვის კიდევ ერთი მომენტია აბსოლუტურად მიუღებელი. მისი აზრით, ქვეყანაში ნებისმიერ თანამდებობაზე შეიძლება მოვიწვიოთ უცხო ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ ჯერ ჩვენი მოქალაქეობა უნდა მივცეთ. ანუ საქართველოს პრეზიდენტი რომელიღაც არარეზიდენტი პირს თუ ენდობა, ვალდებულია აიღოს, მას ჯერ საქართველოს მოქალაქეობა მისცეს და შემდეგ, როგორც საქართველოს მოქალაქე, ამ საბჭოს წევრად შეიყვანოს. თუ უცხოელმა სპორტსმენმა, ამა თუ იმ ქვეყნის სახელით რომ მიიღოს მონაწილეობა, ჯერ იმ ქვეყნის მოქალაქეობა უნდა მიიღოს, ეროვნული ბანკი სპორტზე ნაკლებია?! სამწუხაროდ, ლაღო გურგენიძის დროს გაკეთებული ძალიან ცუდი ჩანაწერი ახალ კანონშიც გრძელდება. ცუდია, რადგან ადამიანზე, ვინც ხდება ამ საბჭოს წევრი, საქართველოს კანონმდებლობა სრულად ვერ გავრცელდება, თუ ის არ არის საქართველოს მოქალაქე. არადა, ამხელა საქმეს (იგივე საზედამხედველო საბჭოს წევრობას ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობას) ვანდობთ, რაც ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

საინტერესოა, რომ კანონპროექტის მე-15 მუხლის (ეროვნული ბანკის პრეზიდენტის უფლებამოსილებები) მე-2 პუნქტის თანახმად, „*ეროვნული ბანკის პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების მოვალეობის შესრულება არ შეიძლება დაეკისროს პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე*“. არადა, როგორც ნოდარ ჯავახიშვილი შენიშნავს, კანონპროექტი არ კრძალავს, რომ უცხოელი იყოს სებ-ის პრეზიდენტი თუ ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოს ყველა წევრი შეიძლება იყოს უცხოელი, მაგრამ როცა სებ-ის პრეზიდენტი სადმე იქნება წასული, მაშინ მოვალეობის შესრულება აუცილებლად საქართველოს მოქალაქეს უნდა დააკისროს!

ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, თუ ადამიანი სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობს და არის თანამდებობის პირი, იგი რეზიდენტი პირიც უნდა იყოს. უცხო ქვეყნის მოქალაქემ არ უნდა იცოდეს ის ინფორმაცია, რომლის ცოდნამაც შესაძლოა ქვეყანას ზიანი მიაყენოს. მაგრამ ამ კანონპროექტით ეს დაშვებულია და ვერ გეტყვით, რამდენად არის აქ გათვალისწინებული ინდივიდის ინტერესები, მორგებულია თუ არა იმ ადამიანზე, ვინც არ არის ჩვენი ქვეყნის მოქალაქე. იგივე ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველოში ასეთი პრეცედენტები დაშვებულია, მაგალითად, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელ პირებად ინიშნებიან ორმაგი მოქალაქეობის მქონე ადამიანები. ამიტომ ამ ფონზე გასაკვირი არ არის ის დაშვება, რასაც სებ-ის შესახებ კანონპროექტი ითვალისწინებს. მათი აზრით, უცხო ქვეყნის მოქალაქე შეიძლება იყოს ყოფილიყო, ოღონდ

ექსპერტად ან სათათბირო ხმით, მაგრამ მან გადაწყვეტილებებშიც მიიღოს მონაწილეობა და უკარნახოს, – ეს გარკვეული რისკის შემცველიცაა და იმ საფრთხეს ატარებს, რომ მას, როგორც არამოქალაქეს პასუხისმგებლობა არა აქვს ამ ქვეყნის განვითარებაზე, ამიტომ ინფორმაციული გაყონვებიც აბსოლუტურად შესაძლოა.

**რა წინააღმდეგობების შემცველია  
სებ-ის შესახებ კანონპროექტი**

„ეროვნული ბანკის შესახებ“ წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტით ერთობ უკმაყოფილოა ნოდარ ჯავახიშვილი, რომელიც რიგ შეუსაბამობებზე ამხვილებს ყურადღებას. კერძოდ, ეროვნული ბანკის ფუნქციებში „ა)“ ლიტერით გამოყოფილია მისი ძირითადი ფუნქცია „*შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად*“; რაც ფაქტობრივად ეწინააღმდეგება 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ეროვნულ ბანკს ეძლევა უფლება იმოქმედოს „*თავის მიერ შემუშავებული და პარლამენტის მიერ დამტკიცებული პროექტის ფარგლებში*“. ასეთი მიდგომა პრაქტიკულად თამამგარე მდგომარეობაში ტოვებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ნაწილში – ასეთ პირობებში რა აზრი აქვს პარლამენტის მიერ ძირითადი მიმართულებების დამტკიცება-არდამტკიცებას, ან თუ გნებავთ ეროვნული ბანკის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენას, რომლის განხილვის უფლებასაც არ იტოვებს კანონმდებელი და მხოლოდ უპირობო დამტკიცების ვალდებულება აქვს?!

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი საქართველოს კონსტიტუციის 95-ე და 96-ე მუხლებს შეგვახსენებს იმის დასტურად, რომ მათ მოთხოვნას ორგანულ კანონში შემოთავაზებული ცვლილებები ეწინააღმდეგება:

**მუხლი 95** – „*საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად*“.

**მუხლი 96** – „*ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს*“.

ჯავახიშვილის აზრით, არანაკლებ აღმაფრთხილებელია ის ფაქტი, რომ ორგანული კანონის შემოთავაზებული ვარიანტი ეროვნული ბანკის უმაღლეს ორგანოს – ბანკის საბჭოს ართმევს ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციის განხორციელების უფლებას, რამეთუ მე-9 მუხლით განსაზღვრულ ეროვნული ბანკის საბჭოს უფლებამოსილებებში გაკვრითაც კი არ არის ნახსენები ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა.

მეორე მხრივ, ჯავახიშვილის აზრით, საფინანსო ზედამხედველობა ამკარა დანამატად, უცხო სხეულად არის შემოსული ეროვნული ბანკის სტრუქტურაში და ქვეყნის ცენტრალურ ბანკს რაღაც ამორფულ და ძნელად სამართავ ორგანოდ აქცევს. ჯერ ერთი, საფინანსო სექტორის

ზედამხედველობას ხელმძღვანელობს საფინანსო ზედამხედველობის საბჭო, რომელიც არანაირ დამოკიდებულებაში არ არის ეროვნული ბანკის უმაღლეს ორგანოსთან – ეროვნული ბანკის საბჭოსთან. უფრო მეტიც, ამ საბჭოს რიგითი წევრია ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ზედამხედველობის საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ეროვნული ბანკისთვის და შესაბამისად, მისი პრეზიდენტისათვის! ამასთან, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, ანუ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი და შეიძლება თავმჯდომარეც (ცალკეულ შემთხვევაში) ანგარიშვალდებულება საფინანსო ზედამხედველობის საბჭოს წინაშე! საფინანსო ზედამხედველობის საბჭოს მაღალ სტატუსს ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ მის წევრებს ნიშნავს და სამსახურიდან ათავისუფლებს ქვეყნის პრეზიდენტი. თუმცა, კანონი არ განსაზღვრავს, ვინ უდგენს საბჭოს წევრებს ხელფასებსა და თანამდებობრივ სარგოებს.

ტერმინთა განმარტებების ნაწილში „საინტერესოდ“ არის განმარტებული ინფლაცია: „*ინფლაცია – ფასების სტატისტიკის მწარმოებელი ოფიციალური ორგანოს მიერ გამოქვეყნებული სამომხმარებლო კალათის ფასების ინდექსის ცვლილება*“, ანუ ინფლაცია ფასების მატება კი არა, ცვლილება ყოფილა და დეფლაცია რაღა მაშინ?! დეფლაციაც ზომ ცვლილებაა, ოღონდ ფასების შემცირება!

ჯავახიშვილის აზრით, გაუმართლებელია, რომ ქვეყნის ფინანსური და საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოების ფუნქცია ეკისრება ეროვნულ ბანკს, მით უმეტეს, რომ ფინანსური სექტორის განმარტებას არ იძლევა. რა უნდა ვივარაუდოთ, საერთოდ ფინანსების სტატისტიკა?! სახელმწიფოში უნდა იყოს ერთიანი, დამოუკიდებელი და მაღალკვალიფიციური სტატისტიკის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყველა სახის სტატისტიკური მასალების ხარისხზე და მის ანალიზზეც.

საერთოდ გაუგებარია ეროვნული ბანკის ფუნქციებში „თ“ ლიტერის არსებობა, რომლის მიხედვითაც მან უნდა „*მასთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის (შემდგომში მონიტორინგის სამსახურის) მეშვეობით, ამ ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა*“:

ამავდროულად: „*მონიტორინგის სამსახური დამოუკიდებელი ორგანოა და თავისი საქმიანობისას არ ექვემდებარება არც ერთ სხვა ორგანოს და თანამდებობის პირს*“ (მუხლი 60, მე-2 პუნქტი), თავის კომპეტენციის ფარგლებში თავად წარმოადგენს სახელმწიფოს

საერთაშორისო ფორუმებში, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი სახელმწიფოს გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდებით. ამასთან, სამსახური ანგარიშვალდებულება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე და ანგარიშსაც მხოლოდ მას წარუდგენს. ქვეყნის პრეზიდენტივე ამტკიცებს სამსახურის უფროსს, უმტკიცებს სამოქმედო დებულებასა და საშტატო ნუსხასა და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს.

ასეთ ვითარებაში გაუგებარია, როგორ უნდა შეასრულოს ამ ნაწილში თავისი ფუნქცია საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი ორგანოს მეშვეობით, რომელსაც მხოლოდ აფინანსებს და აქაც ფაქტობრივად გადაწყვეტილებას თავად მონიტორინგის სამსახური იღებს – „*თუ ეროვნული ბანკის საბჭო არ დაამტკიცებს სამსახურის ბიუჯეტს, მონიტორინგის სამსახურის დაფინანსება განხორციელდება სამსახურისათვის წინა წელს დამტკიცებული დაფინანსების ოდენობით*“. აბსურდულია არა მარტო მონიტორინგის ნაწილში ეროვნული ბანკის ფუნქცია, არამედ მისი მხრიდან ფაქტობრივად უცხო სხეულის დაფინანსება და რაც მთავარია, მონიტორინგის სამსახურის დამოუკიდებლობა.

დაბოლოს, კანონპროექტის გარდამავალ დებულებებში კიდევ ერთ ნონსენსს ვხვდებით: ამ ნაწილის მე-7 პუნქტის „ა)“ ლიტერით კანონმდებელი საქართველოს ეროვნულ ბანკს ავალებს უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის ამ ორგანულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. ანუ, ორგანოს, რომელსაც საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც კი არა აქვს, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციის შესრულებას ავალებს (!!).

**ახალი კანონპროექტი დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი**

მიხეილ თოქმაშვილი აცხადებს, რომ ეს კანონპროექტი გაცილებით წინგადადგმული ნაბიჯია, ვიდრე ის კანონი, რომელიც 1 წლის განმავლობაში მოქმედებდა.

ლადო პაპავა კი გვთავაზობს კანონპროექტის შესაფასებლად კითხვა დავსვათ ცოტა სხვანაირად, კერძოდ: ეროვნული ბანკის შესახებ ეს კანონი უკეთესია თუ უარესი იმასთან შედარებით, რაც ლადო გურგენიძემ გააფუჭა? და პაპავა თავადვე პასუხობს: გურგენიძის მიერ გაფუჭებულ კანონთან შედარებით უკეთესია, მაგრამ სანამ გააფუჭებდა გურგენიძე, იმ კანონთან შედარებით – უარესი.

**დალი ჩიკვაძე**

**აუქციონებზე 95 მილიონი ღირებულების სახაზინო ვალდებულებებს გამოიტანენ**

მომდევნო სამი თვის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების გაყიდვის მიზნით 15 აუქციონი გაიმართება. სახაზინო სამსახურის ხელმძღვანელის, კახა სენხიაშვილის განცხადებით, აუქციონებზე სულ 95 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებები იქნება გამოტანილი. ფასიანი ქაღალდების ემისიას ფინანსთა სამინისტრო 5 აგვისტოდან განაახლებს. თხუთმეტივე აუქციონზე ფასიანი ქაღალდები გაიყიდება, როგორც 6 თვის, ისე 1 წლის ვადიანობითაც. აუქციონი ეროვნულ ბანკში ოთხშაბათობით, „ბლუმბერგის“ სავაჭრო ტერმინალის მეშვეობით გაიმართება. კომერციული ბანკების განაცხადების მიღება 19:30 სათზე დაიწყება და 19:45 საათზე შეწყდება.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც კომერციულ ბანკს, ისე ნებისმიერ ფიზიკურ პირს,